

## ტექნიკური დავალება

1. სოფ. ანაგაში „მთავარანგელოზის“ ხევზე ნაპირსამაგრი სამუშაოები. სავარაუდოდ 400 მ. სიგრძის სიგრძის მონაკვეთებზე გაბიონების მოწყობა. სავარაუდო ღირებულება 300 000 ლარი.
2. „ანაგა-ვაქირის“ ხევზე გიორგი შოშიაშვილის საკარმიდამო ნაკვეთთან ნაპირსამაგრი სამუშაოები. სავარაუდოდ 100 მ. სიგრძის მონაკვეთზე გაბიონების მოწყობა. სავარაუდო ღირებულება 60 000 ლარი.
3. სოფ. საქობოში „გოდაქნის“ ხევის გაწმენდითი სამუშაოები. სავარაუდოდ 1000 მ. სიგრძეზე ხევის კალაპოტის გაწმენდა ნატანისგან. სავარაუდო ღირებულება 140 000 ლარი.

### 1. გასაწევი მომსახურების დასახელება

ნაპირსამაგრი სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და სატენდერო პროცედურების ჩატარებასთან დაკავშირებული ტექნიკური დოკუმენტების შედგენაზე მომსახურების გაწევა და ცალკეულ ობიექტებზე, საჭიროების შემთხვევაში საავტორო ზედამხედველობა.

გასაწევი საპროექტო მომსახურება გულისხმობს ტექნიკური დავალების დანართით განსაზღვრულ ობიექტებზე, სანაპირო ზონების ნაპირსამაგრი სამუშაოებისთვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და სატენდერო პროცედურების ჩატარებასთან დაკავშირებული ტექნიკური დოკუმენტების შედგენას და საჭიროების შემთხვევაში საავტორო ზედამხედველობას.

### 2. მომსახურების ძირითადი სახეობები

- 2.1. საველე საკვლევადიებო და კამერალური სამუშაოები;
- 2.2. საპროექტო სამუშაოები (ტექნიკური გადაწყვეტილებები და მშენებლობის ორგანიზაცია);
- 2.3. დოკუმენტაციის მომზადება და ობიექტის სავარაუდო ღირებულების დადგენა;
- 2.4. სატენდერო პროცედურების ჩატარებასთან დაკავშირებული ტექნიკური დოკუმენტების მომზადება;

### 3. მიმწოდებელმა საჭიროების შემთხვევაში უნდა უზრუნველყოს

3.1. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და სატენდერო პროცედურების ჩატარებასთან დაკავშირებული ტექნიკური დოკუმენტების დამატებითი ეგზემპლიარების გამრავლება;

3.2. ხარჯთაღრიცხვების გადაანგარიშება;

3.3. პროექტის კორექტირება;

#### 4. მომსახურების გაწევის ვადები და პირობები

4.1. მომსახურების გაწევის ვადა განისაზღვროს - ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 თვე.

4.2. შესყიდვის ობიექტის გათვალისწინებით, ინდივიდუალურ საპროექტო დავალებას წერილობით გასცემს შემსყიდველი. ინდივიდუალურ საპროექტო დავალებაში მიეთითება შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების ვადა და პირობები. ინდივიდუალური საპროექტო დავალება გაიცემა ინდივიდუალურად დასაპროექტებელი ობიექტის შესაბამისად.

5. “სანაპირო ზონების ნაპირსამაგრი სამუშაოების” პირობები ყოველი კონკრეტული ობიექტისათვის

მომსახურების გაწევის შედეგად დამუშავებული ყველა დოკუმენტი; მათ შორის ნახაზები, ტექსტობრივი ნაწილი და სატენდერო პროცედურების ჩატარებასთან დაკავშირებული ტექნიკური დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იქნეს მხოლოდ ქართულ ენაზე.

#### 5.1. დავალების შემადგენლობა:

5.1.1. ნაპირსამაგრი სამუშაოებისათვის საჭიროა საპროექტო მომსახურებისა და საჭიროების შემთხვევაში საავტორო ზედამხედველობის გაწევა.

5.1.2. მთლიანობაში, შესყიდვის ობიექტი უზრუნველყოფს სანაპირო ზონის მდგრადობის საპროექტო დოკუმენტაციის შემუშავებას, მ.შ:

ა) მოსალოდნელი პროცესებით გამოწვეული საშიში შედეგების პრევენციული ღონისძიებების ასახვას და რეკომენდაციების დამუშავებას;

5.1.3. მიმწოდებელს მოეთხოვება ტექნიკური დავალებით განსაზღვრული - სანაპირო ზონებში სარეაბილიტაციო სამუშაოებისა და ახლად დაგეგმილი ნაპირსამაგრი ნაგებობების მოსაწყობად საჭირო საკვლევადიებო სამუშაოების ანალიზის საფუძველზე საპროექტო დოკუმენტაციის შემუშავება.

5.1.4. ნაპირსამაგრი ობიექტის პროექტირება მოიცავს საველე ტოპო-გეოდეზიურ საკვლევადიებო სამუშაოებს, გეოლოგიური და ჰიდროლოგიური პირობების შესწავლას, მონაცემების კამერალურ დამუშავებას, პროექტირებას, მშენებლობის ორგანიზაციას,

ხარჯთაღრიცხვასა და სატენდერო პროცედურების ჩატარებისათვის საჭირო ტექნიკური დოკუმენტების შედგენას.

5.1.5. სანაპირო ზონის მდგომარეობის, ხანგრძლივი დროის განმავლობაში ბუნებრივად ჩამოყალიბებული მორფოდინამიკური რეჟიმის სტაციონალური პირობების შენარჩუნების მიზნით მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) საპროექტო მომსახურება შეასრულოს საქართველოში მოქმედი ტექნიკური რეგლამენტების, სტანდარტებისა და ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

ბ) საკვლევაძიებო და საპროექტო სამუშაოების დროულად და ხარისხიანად შესრულებისათვის მოახდინოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სტრუქტურებთან და პირებთან პროექტების საჭირო წინასწარი შეთანხმებები (გარდა სამშენებლო მოედნის, ტერიტორიის გამოყოფის და განთავისუფლებისა, რომელიც წარმოადგენს შემსყიდველის მოვალეობას);

გ) პროექტში გათვალისწინებულ უნდა იქნას მშენებლობაში მიღწეული და დაგროვილი საერთაშორისო გამოცდილებები ახალი ტექნოლოგიებისა და მოწყობილობების გამოყენებით საქართველოს სპეციფიკური პირობებიდან გამომდინარე.

## 5.2. მოძრაობის ორგანიზაცია

შესასრულებელი სამშენებლო სამუშაოების ორგანიზაციის პროექტები უნდა შესრულდეს მოძრაობის ორგანიზაციისა და საგზაო სამუშაოების წარმოებისათვის საჭირო საქართველოში მოქმედი ტექნიკური რეგლამენტებისა და ინსტრუქციის გათვალისწინებით.

საჭირო შემთხვევებში დასაშვებია დაზიანებული გზების მონაკვეთებისა და ხელოვნური ნაგებობებისათვის ასაქცევი დროებითი გზების მოწყობა გზაზე უწყვეტი მოძრაობის უზრუნველსაყოფად.

## 5.3. საპროექტო დოკუმენტაციის შემუშავების ტექნიკური სპეციფიკაციები

სანაპირო ზონებში ნაპირსამაგრი სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო მომსახურება ეყრდნობა ადგილობრივ კლიმატურ, გეოლოგიურ, ჰიდროლოგიურ და მრავალწლიანი დაკვირვებების პირობებს.

### 5.3.1. საველე-საკვლევაძიებო სამუშაოები:

ა) ადგილმდებარეობის რეკოგნოსცირება და საჭიროების შემთხვევაში მიყენებული ზარალის დადგენა; სანაპირო ზონების დაზიანებული მონაკვეთის შემოხაზვა, რომელსაც სჭირდება გადაუდებელი ნაპირსამაგრი ღონისძიებების ჩატარება;

ბ) რეგიონის შესწავლა: გეოლოგიური, ჰიდროლოგიური მაჩვენებლების ანალიზი, საპროექტო მონაკვეთზე მდინარეთა, წყალსატევებისა და ზღვის რეჟიმის მოქმედების გამოკვლევა, რეგიონის მაცხოვრებლების მიერ მრავალწლიანი დაკვირვებების შესწავლა;

გ) ადგილმდებარეობის ტოპოგეოდეზიური გადაღება;

5.3.2. სანაპირო ზონების ნაპირსამაგრი ღონისძიებები მოიცავენ, მაგრამ არ შემოიფარგლება:

ა) დამცავი ყრილის მოწყობას გრუნტის მასალიგან საჭირო ქანობის დაცვით მშრალ ადგილებში ან წყალში ჩაყრით;

ბ) შესაბამისი ზომის ქვის ნაყარის მოწყობას ფერდობზე; გ) ნაპირის ფერდობის გამაგრებას ბალახის დათესვით;

დ) სანაპირო ფერდის მოშანდაკებას ქვით საყრდენში რისბერმის მოწყობით;

ე) ფერდობების დაცვას მონოლითური ბეტონით შესაბამისი კბილის მოწყობით;

ვ) ფერდობების დაცვას ანაკრები რკინაბეტონის ფილებით შესაბამისი კბილის მოწყობით;

ზ) ნაპირის გამაგრებას ბეტონის დეზებით;

თ) ნაპირის გამაგრებას გაბიონებით;

ი) ნაპირის დაცვას რკინაბეტონის ან ლითონის შპუნტებით;

კ) საყრდენი კედლების აგებას ქვით, ბეტონით, რკინაბეტონით საძირკველში ხიმინჯების გამოყენებით ან ბუნებრივ ფუძეზე მოწყობით;

ლ) სანაპირო ზონების გაწმენდას მონატანებისაგან;

მ) როგორც აუცილებელი ღონისძიება - ყველა საჭირო შემთხვევაში სანაპირო ზონებში წყლის ნაკადისა და ტალღური რეჟიმის რეგულირებისათვის შესაბამისი ღონისძიებების შესრულება.

## 6. საავტორო ზედამხედველობის განხორციელების წესი

საჭიროების შემთხვევაში, მიმწოდებელი გაუწევს საავტორო ზედამხედველობას, ამ სამუშაოების წარმოების მთელ პერიოდში ობიექტის ექსპლოატაციაში მიღების ჩათვლით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

შენიშვნა: საავტორო ზედამხედველობის აუცილებლობა განისაზღვრება წარმოდგენილი პროექტის განხილვის ეტაპზე.

## 7. ტექნიკური გადაწყვეტილებების შეთანხმება

ყოველი კონკრეტული ობიექტის ძირითადი ტექნიკური გადაწყვეტილებები, მიმწოდებლის მიერ, თანხმდება შემსყიდველთან.

#### 8. წარმოსადგენი დოკუმენტების რაოდენობა

მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და სატენდერო პროცედურების ჩატარებასთან დაკავშირებული ტექნიკური დოკუმენტების ეგზემპლიარების რაოდენობა, რომელიც განისაზღვრება ყოველ კონკრეტულ ობიექტზე გაცემული საპროექტო დავალებით და მოიცავს:

1. საპროექტო დოკუმენტაცია – 3ეგზ. (ნაბეჭდი სახით); – 2ეგზ. (ციფრული სახით);
2. სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია – 2ეგზ. (ნაბეჭდი სახით); – 2ეგზ. (ციფრული სახით);
3. სატენდერო პროცედურების ჩატარებასთან დაკავშირებული ტექნიკური დოკუმენტები – 4ეგზ. (ნაბეჭდი სახით); – 2ეგზ. (ციფრული სახით).